ახალი

გაზეთიანი

„მეფნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული„

 გაზეთიანი

85 წელი თქვენთან ერთად!

2017 წელი 30 ოქტომბერი № 10 № 8127

ელფოსტა
AxaliGantiadi@gmail.com

გოჩა თათრიშვილი:

“ჩემი ცხოვრება და შენი ცხოვრება სამშობლოს ეკუთვნის”

გვ5.

უსხვობა

გვ2-3.

ახალი წყალსაცავი მდინარე თეძამზე

გვ2.

ცოხუმის დამცველების დაბრუნება

გვ5.

24 წლის შემდეგ

გვ5.

მამულო, სიცოცხლეო!

გვ5.

ვარსკვლავსანი „ქართული„

გვ6.

სკოლამდელი აღზრდა

გვ7.

კეთილმონყობილი სანბავშვო ბაღები პატარა აღსაზრდელებს

გვ7.

გვ4.

ნერილი №2

ლიბიური ჯარითული ცეცხლზე

გვ4.

ნოემბრისმის თვრეულებში ჯარითული მოსწავლეებს შეესძლებლობა ეჯეთ ერთი წლის განმავლობაში იცხოვრონ და ინწავლონ ამერიკაში

გვ8.

გვ9.

იმაზე მეტი შეგვიძლია ვიყო, რომ გვგონია

გვ7.

განათლებული, ფიზიკურად ძლიერი და ჯანსაღი თაობა

გვ9.

მეთორმეტეულასელი გიგინას დასახმარებლად

ბოსტიბე

ახალი წყალსაცავი მდინარე თეძამზე

კასპის კულტურის ცენტრში მდინარე თეძამზე ახალი წყალსაცავის პროექტის პრეზენტაცია გაიმართა, პროექტი წარადგინა შპს საქართველოს მელიორაციის გენერალურმა დირექტორმა ლევან ბუკიამ.

კასპის მუნიციპალიტეტისათვის გასარწყავება არის მეტი პროდუქციის, მეტი დასაქმების და მეტი შემოსავლის აუცილებელი პირობა. სწორედ ამ მიზანს ემსახურება პროექტის განხორციელებაც, რომელიც გასარწყავების გარდა ხელს შეუწყობს სასმელი წყლით მომარაგებას და ტურიზმის განვითარებას. აღნიშნა თავის გამოსვლაში საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა.

პროექტის მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე, ასევე ისაუბრეს საქართველოს პარლამენტის წევრმა, კასპის მაჟორიტარმა დეპუტატმა ირაკლი მეზურნიშვილმა და მხარის გუბერნატორმა კახა სამხარაძემ.

12 მლნ m^3 მოცულობის წყალსაცავი მოემსახურება და წყლით უზრუნველყოფს სხვადასხვა სარწყავ სისტემებს: სიონის მაგისტრალურ არხს, სოფელ ჩოჩეთის, სოფელ ნიაბის ზედა, სოფელ ყარაღაჯის, სოფელ მეტეხის და წაბლა არხებს.

სარწყავი სისტემების რეაბილიტაციის პროგრამის განხორციელება და თეძმის წყალსაცავის მოწყობა უზრუნველყოფს: კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2600 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულის გარანტირებულ მორწყვას; მდინარე თეძმის მიმდებარე სოფლების მოსახლეობა, კაშხალის ქვედა ბიეფში ფილტრატებიდან მიიღებს სასმელ წყალს; მოსახლეობა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულები დაცული იქნება გაზაფხულის წყალმოვარდნისა და წყალდიდობისგან; წყალსაცავზე შესაძლებელია აშენდეს 2 მგვტ სიმძლავრის ჰესი. პროექტით, სამუშაოების ამჟამინდელი ღირებულებაა 51 მილიონი ლარი.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

ხალხმრავალი დღესასწაული "კასპობა" ყოველი წლის შემოდგომაზე იმართება ჩვენს ქალაქში და ამდენად, წელსაც უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი ქალაქობაზე. 14 ოქტომბერს, დღის 12 საათზე სააკაძის მოედანი, მისი მიმდებარე ტერიტორია, კულტურის ცენტრის შემოგარენი სტუმარ-მასპინძლით აივსო... ყველას ხიბლავდა თვალსაჩინო ადგილას საგანგებოდ გამოფენილი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ისტორიისა და კულტურის ამსახველი ლამაზად გაფორმებული ბანერი... ხილითა და ბოსტნეულით, ნაირგვარი ნობათით მორთული იმიტირებული ტიპიური ქართლური "სოფლები" მასპინძლობდნენ სტუმრებს საგულდაგულოდ გამზადებული კერძების დასაგემოვნებლად. მოკლედ, მუნიციპალიტეტში შემავალ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოდგენილი ჰქონდა საშემოდგომო, გემოვნებით გალამაზებული კუთხე. ქალაქობის დღესასწაულზე მოვიდნენ აგრეთვე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სააქციო საზოგადოების /კასპიელექტროაპარატი, წვენების ქარხანა, ნოსტის მეფრინველეობის ფაბრიკა და კიდევ სხვები/ წარმომადგენლები, ინდმეწარმეები, რომლებმაც საჩვენებლად გამოფინეს თავიანთი პროდუქცია. საზეიმო განწყობა, განსაკუთრებული ხალისი იგრძნობოდა სააკაძის სკვერში მოწყობილ გასართობ ატრაქციონებთან, პატარების დაუსრულებელი რიგი იდგა სასრიალოებთან და საქანელებთან... ბავშვებსა და ქალაქის სტუმრებს ახალისებდნენ აქვე, ახლოს მოსეირნე დიჯეები და ცნობილი ზღაპრების "გმირები", ცენტრალურ მოედანზე კი, ფაეტონით დასეირნობდნენ ახალგაზრდები, მოზარდები, ისმოდა ბავშვების ჟივილ-ხივილი და მხიარული გადაძახილი. აქაურობას კიდევ უფრო ალამაზებდა ნაციონალურ სამოსში გამოწყობილი მედუდუკეთა ანსამბლი და მუდამ მომღიმარი მეარღნე, რომლებთანაც სამახსოვრო ფოტოებს იღებდნენ თავგადასავლების მოყვარული გოგო-ბიჭები და არა მხოლოდ ისინი. აუარებელი მნახველის ყურადღებას იპყრობდა შთამბეჭდავი, ძალიან საინტერესო ფერწერული, თექისა და ხელნაკეთი, ორიგინალური ნამუშევრების, წნულების გამოფენა-დათვალიერება...

სახალხო დღესასწაული ზეიმის მონაწილეებსა და ქალაქის სტუმრებს მიულოცეს კასპის მაჟორიტარმა დეპუტატმა ირაკლი მეზურნიშვილმა, შიდა ქართლის გუბერნატორმა კახა სამხარაძემ, მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარემ მანუჩარ მერებაშვილმა, მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის უფროსმა თეა ხორბალაძემ... შემდეგ კი, მათ პატივი მიაგეს და ყვავილების თაიგულებით შეამკეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ გმირთა მემორიალი.

შარშანდელივით, სწორედ "კასპობის" დღესასწაულზე დასახელდნენ გასული სასწავლო წლის ოქროსა და ვერცხლის მედალოსნები:

ოქროს მედალოსნები: ახალქალაქის საჯარო სკოლის კურსდამთავრებულები: თემურ მელიქიშვილი და მარიამ სალხინაშვილი, სასირეთის საჯარო სკოლის კურსდამთავრებული ტატო ბეჟიტაშვილი, ოკმის საჯარო სკოლის კურსდამთავრებული ნათია პაპიაშვილი, ხოვლის საჯარო სკოლის კურსდამთავრებული კონსტანტინე ხათაშვილი, ქალაქ კასპის №2 საჯარო სკოლის კურსდამთავრებულები ანი ჯეირანაშვილი და რუსუდან ნარიმანიძე, ქალაქ კასპის №3 საჯარო სკოლის კურსდამთავრებულები მარიამ ბაშარული და მარიამ დალაქიშვილი.

ვერცხლის მედალოსნები: აღაიანის საჯარო სკოლის კურსდამთავრებულები: გოგი გელხაური და ილია მამიაშვილი, ახალქალაქის საჯარო სკოლის კურსდამთავრებული ელენე თოიძე, ლამისყანის საჯარო სკოლის კურსდამთავრებული ზაირა კუნდუხაშვილი, ოკმის საჯარო სკოლის კურსდამთავრებული ნანა ჯარმელაშვილი, ხოვლის საჯარო სკოლის კურსდამთავრებულები ანი ჯანანაშვილი და გიორგი ჯანანაშვილი, ქალაქ კასპის №1 საჯარო სკოლის კურსდამთავრებულები მარიამ შუბითიძე და ხატია

დასასრული მე-3 გვ.

ყველაფერი

/დასასრული. დასაწყისი იხ. გვ2./

ბუთხუზი, მეორე საჯარო სკოლის კურსდამთავრებული ლაშა ბუთხუზი, ქალაქის მესამე საჯარო სკოლის კურსდამთავრებულები ანა თურქაძე, მარიამ ბურმისტროვა და ყველა მათგანს მუნიციპალიტეტმა საჩუქრად გადასცა ხელნაკეთი მინიატურული "ვეფხისტყაოსანის" ალბომი... სანიმუშო შრომისა და გარჯისათვის დასაჩუქრდა აგრეთვე, კავშირგაბმულობის კურიერი ჯულეტა ტატანაშვილი. სახალხო დღესასწაულზე საზეიმოდ გაიხსნა ქვემო ჭალის კულტურის სახლთან არსებული ფოლკლორული ანსამბლის "ქართლის" ვარსკვლავი (აღნიშნული ანსამბლის შექმნისა და ჩამოყალიბების ისტორიას "ახალი განთიადი" გთავაზობთ ამავე ნომერში) და აგრეთვე, გაიმართა ანსამბლის აუდიო კომპაქტ დისკის პრეზენტაცია.

ზეიმის მნიშვნელოვანი ნაწილი გახლდათ გალა-კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ როგორც ადგილობრივი ქორეოგრაფიული კოლექტივები და ფოლკლორული ანსამბლები, მომღერლები და ინდივიდუალური შემსრულებლები, ასევე, დედაქალაქიდან სპეციალურად მოწვეული ცნობილი და აღიარებული სახეები... აქაურებისთვის და არა მხოლოდ მათთვის ნამდვილი სიურპრიზი გახლდათ ლეგენდარული ქართველი მომღერლის, საქართველოს სახალხო არტისტის თემურ წიკლაურისა და ჩვენი რაიონის დიდი ხნის მეგობრის, კომპოზიტორ ვაჟა დურგლიშვილის სცენაზე გამოჩენა... საზეიმო კონცერტზე შთამბეჭდავი გამოსვლა ჰქონდა მუნიციპალიტეტის გამგეობასთან არსებულ ფოლკლორული ანსამბლის "მოურავის" /ლოტბარი გივი ბახტაძე/ გამოსვლას, რომლის მიერ შესრულებულმა სიმღერამ "ჰიმნი კასპზე" აპლოდისმენტები დაიმსახურა.

ზეიმში მონაწილეობდნენ: ქორეოგრაფიული ანსამბლი "რკონი"/ ქორეოგრაფები მაკა დათაშვილი და ნუკრი საბიაშვილი/, ინდივიდუალური შემსრულებლები: მიხეილ ქოსაშვილი, ბელა კობიაშვილი, ხათუნა ტყემალაძე, გიორგი ჯავახიშვილი, გიორგი გაბისიანი, მიხეილ ჟივიძე, აჩიკო მიგრიაული, მარიამ ბარნაბიშვილი, ანანო მეშველაშვილი, მარიამ სალხინაშვილი, ანა მარია ნონიაშვილი, მაკა გულიაშვილი, გვანცა მამაცაშვილი, ნატუკა ჟივიძე, სალომე მასიკაშვილი, გიგა ბერიაშვილი, გიორგი გარაყანიძე, ანი გიგაური, მარიამ დავითაშვილი, დუეტი: გიორგი ქელეხსაშვილი და გურამ ქამხაძე, ლათინურ-ამერიკული ცეკვების პოპური წარმოადგინა გიორგი მჭედლიშვილმა. საესტრადო სიმღერებს ენაცვლებოდა ცეკვები: ქორეოგრაფიული ანსამბლი "იმედი" /ქორეოგრაფები იზა და ინგა თაბუკაშვილები/, ზემო ხანდაკის კულტურის სახლთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი /ქორეოგრაფი შორენა ამირეზაშვილი/, თვალადის კულტურის სახლთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი /ხელმძღვანელი შორენა ამირეზაშვილი/, ქორეოგრაფიული ანსამბლი "ქართლი" /ქორეოგრაფი ხათუნა გაგაძე/, ქორეოგრაფიული ანსამბლი "სხვილო" /ქორეოგრაფი ნინო პავლიაშვილი/, ოკმის კულტურის სახლთან არსებული სიმღერის გუნდი, ვოკალური ანსამბლი "შავი მარგალიტი", კასპის სამუსიკო სკოლის გუნდი /ხელმძღვანელი გიორგი ხასიშვილი/, ხალხურ საკრავთა ანსამბლი "თხოთი" /ხელმძღვანელი თამაზ დურგლიშვილი/.

... გვიანობამდე ისმოდა ელექტრონული მუსიკა, ქართული მელოდიები, საზეიმო ღონისძიებას უძღვებოდა ჟურნალისტი და ტელე-წამყვანი ბესო ჩუბინიძე. "კასპობა" – 2017 ფეიერვერკით დასრულდა.

ყანწები



დებიუტი ქართულ სცენაზე

7 ოქტომბერს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში ჟორჟ ბიზეს ოპერა "კარმენის" მორიგი ჩვენება გაიმართა. შედგა ევროპაში მოღვაწე, ახალგაზრდა, წარმატებული ქართველი ტენორის მიხეილ შეშაბერიძის დებიუტი. ტენორი თანამშრომლობს მსოფლიოში ცნობილ მაესტროებთან, წარმატებით გამოდის მსოფლიო სცენებზე: არენა დივერონა, ვერდის, მადრიდის სამეფო თეატრში, აღსანიშნავია, რომ წარმოდგენა სრული ანშლაგით გაიმართა.

"მოვიდა ჩემთვის მართლაც, საოცნებო დღე, დღეს მე პირველად წარვდგები ქართველი მსმენელის წინაშე ჩვენს შესანიშნავ ოპერისა და ბალეტის თეატრში, ... ორმაგად ამაღელვებელია ქართველი მსმენელის წინაშე გამოსვლა და სიმღერა..." - თქვა ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში მიხეილ შეშაბერიძემ.

ეს რაც შეეხება ოფიციალურ ინფორმაციას.

ამ დღეს ბევრი ჩვენი თანაქალაქელი ელოდა, არა მხოლოდ მუსიკის მცოდნენი თუ მოყვარულნი. ვინ იცის, კიდევ როდის გვეღირსება საქვეყნოდ აღიარებული, მსოფლიო საოპერო სცენებზე მოღვაწე ჩვენებურის ხილვა. სულგანაბული უსმენდა ქართველი მსმენელი მიხეილ შეშაბერიძის სადებიუტო გამოსვლას, ოვაციები არასოდეს ყოფილა ასეთი ამაღელვებელი კასპელი მაყურებლისათვის... ხუმრობა ხომ არაა ჩვენი (გაზეთ "განთიადის" ყოფილი რედაქტორის თამაზ შეშაბერიძისა და ექიმ ნანა მაღლაფერიძის ვაჟი) მიხეილი საერთო აღტაცების საგანი იყო.

ჩვენ პირველად 2010 წელს დავწერეთ მის წარმატებაზე ("ჩვენებური ტენორი ანუ წერილი პირველი") და მაშინვე თავდაჯერებითა და დიდი წარმატების მოლოდინით აღვნიშნეთ, რომ ყოველთვის ვიქნებოდით სუბიექტური მისი გამარჯვებების მიმართ. დღეს კი, საქვეყნოდ ვამაყობთ სადებიუტო გამოსვლით და ისევ სულგანაბულნი თვალს ვადევნებთ თავბრუდამხვევ წარმატებებს.

სვეტიცხოვლის აგების 1700 და მისი განახლების 1000 წლის აღსანიშნავ გალა-კონცერტზე მცხეთაში სპეციალური მოწვევით იტალიიდან ჩამოვიდა ჩვენებური, ჩვენი თანაქალაქელი მიხეილ შეშაბერიძე.

მიშიკო 2007 წელს ბარსელონაში ვინიასის სახელობის კონკურსზე გამოსვლის შემდეგ ჟიურის თავმჯდომარემ ლელლა კუბერლიმ მიიწვია იტალიაში. ორი წლის განმავლობაში ამ დიდებულ მაესტროსთან სწავლამ გაზარდა ახალგაზრდა შემოქმედი. მაესტროს ავადმყოფობის გამო ქართველ ტენორს ახალი პედაგოგი, ცნობილი სოპრანო მარია ლუიზა ჩონი ამეცადინებდა. იტალიაში მიშიკო ტენორ არიო დელ მონაკოს ვაჟის, საოპერო რეჟისორის ჯანკარლო დელ მონაკოს მიწვევით იმყოფება.

ოპერის სამშობლოში საოპერო ხელოვნების დაუფლება ეს, მოგეხსენებათ, რჩეულთა ხვედრია და ბედის განსაკუთრებული საჩუქარი. არადა, თავიდან თითქოს სხვანაირად იწყებოდა ყველაფერი.

მეთერთმეტე კლასში ექიმობა უნდოდა და სამედიცინო ინსტიტუტში უნდა ჩაებარებინა. პარალელურად იცოდა, რომ კარგი ხმა ჰქონდა, მაგრამ რომ არა მამის რწმენა და უდიდესი ძალისხმევა, ალბათ ვერ მოხვდებოდა დიდ მაესტროსთან. ნოდარ ანდღულაძემ მოუსმინა: – ძლიერი კი არა, ძალუმი ხმა აქვს – უთქვამს მაესტროს და იქვე დაუმატებია, რამდენიმე წელი მაინც უნდა მოემზადოთ და შემდეგ იფიქროთ კონსერვატორიაში ჩაბარებაზე.

საოპერო ხელოვნებაში სრულიად განუსწავლელი მკითხველიც მიხვდება, რომ ხმის "გამოწრთობა," გნებავთ დამუშავება, ეს გაცილებით რთული და დროში გავრცობილი პროცესია, ვიდრე ჩვენთვის ცნობილი ყველა სახის მომზადება და რეპეტიტორებთან თანამშრომლობა.

რომ არა მიშიკოს მონდომება და მართლაც, ხელოვანისათვის დამახასიათებელი თავდაუზოგავი შრომის უნარი, ანდღულაძესთან შეხვედრიდან წელიწადნახევარში კონსერვატორიის სტუდენტი ვერ გახდებოდა. კურსზე ყველაზე პატარა იყო, უფრო სწორად ძალიან პატარა, მისი ყველაზე ახალგაზრდა კურსელი 27 წლის იყო. სწავლობდა გულიკო კარაულის კლასში.

2007 წელს ბარსელონაში ვინიასის სახელობის კონკურსზე გამოსვლის შემდეგ, როდესაც ჟიურის თავმჯდომარემ ლელლა კუბერლიმ მიიწვია იტალიაში, მიშიკოს მიეცა საშუალება დაუფლებოდა იტალიური სკოლის საუკეთესო ტრადიციას – შეესწავლა ბელკანტო (სიტყვასიტყვით მშვენიერი სიმღერა).

XVII ს. შუა წლებში იტალიაში ჩამოყალიბებული ვოკალურ-საშემსრულებლო სტილი ბელკანტო წარმოადგენს იტალიური ვოკალური სკოლის საფუძველს, მისთვის დამახასიათებელია ვოკალიზაციის სილამაზე და პლასტიკურობა, უაღრესი სიმსუბუქე და მოქნილობა, ბგერიდან ბგერაზე გადასვლის თავისებური მანერა. ეს სპეციფიკური ნიშნები დამახასიათებელია იტალიური ვოკალური სკოლისათვის მისი განვითარების ყველა ეტაპზე, დაკავშირებულია ბგერით კოლორიტსა და იტალიური ენის სტრუქტურულ თავისებურებასთან, ხალხურ სასიმღერო ტრადიციებთან.

ბელკანტო ინარჩუნებს თავის მხატვრულ-ესთეტიკურ საფუძვლებს და ამავე დროს ახალი საშემსრულებლო ხერხებითაც მდიდრდება.

ზოგჯერ ბელკანტო გულისხმობს იტალიურ ვოკალურ კულტურას მთლიანად.

და კიდევ, ერთი დეტალი იმის მისახვედრად, თუ რას ნიშნავს იტალიაში დაეუფლო საოპერო ხელოვნებას – თუ გავიაზრებთ, რომ თვით მოცარტი ოპერებს თავიდან იტალიურად წერდა და მხოლოდ შემდეგ დაიწყო გერმანულად წერა, მივხვდებით, რომ არის რაღაც ღვთივბოძებული თავად იტალიურ ენაში, რაც მომღერლებს უადვილებს სიმღერის შესრულებას.

რამდენიმე ხნის წინ, პირად საუბარში კითხვაზე: რომელია ყველაზე მაღალი მწვერვალი, სადაც უნდა ახვიდე? თქვა: - მაღალ მწვერვალს რაც შეეხება, ვიღაცისთვის ეს დიდ თეატრებში სიმღერაა. ეს, რა თქმა უნდა, ერთ-ერთი მიზანია, მაგრამ ყველაზე ძნელი არის ის, რომ იქ დარჩე.

ადამიანმა კარიერა შეიქმნა ჩემთვის ნიშნავს, რომ სიმაღლეზე შეგიძლია 2025 წელი დარჩე. მაშინ ძალაუნებურად მსოფლიო დონეზე ცნობილი ხდები, ასე რომ არ იყოს დიდ თეატრებში არ დაგიძახებენ. ამიტომ ვისურვებდი, რომ ჩემი შემოქმედებითი ცხოვრება სულ ასე გრძელდებოდეს და გრძელდებოდეს.

ნ.მერებაშვილი.

გოჩა თათრიშვილი

"ომის თაობის" სიამაყე

მე კარგად მახსოვს ის დღეები, საყოველთაო ტკივილი, გაოცება, ... უცნაურად და მიუღებლად გვეჩვენებოდა ომის უსამართლობა.

რამდენად არის დღევანდელი სინამდვილე წინაარსებულთან უშუალოდ დაკავშირებული? საქმე ის გახლავთ, რომ ასეთი უშუალო განუწყვეტლობის მითითება არც ისე იოლია, თუნდაც იმის გამო, რომ არსებობს ჯერ სახელდაურქმეველი შუალედი, დროში გავრცობილი ომის სახელდებისათვის ისტორიამ ჯერ ვერ მოიცალა...

მაშინ სამშობლოს სიყვარული, თავდადება თავის თავში გულისხმობდა ტრადიციის გაგრძელებას, შინაგან ეკლექტიკურობას, ბუნებრივ (გულუბრყვილობამდე) ქმედებას. სწორედ ასეთმა რეალობამ შექმნა ჩვენს გვერდით მცხოვრები პატრიოტებისაგან მონუმენტური გმირები. ნუ შეგვაშინებს ეს სიტყვა.

ადამიანის პირადი ისტორია განისაზღვრება მისი ცოდნითა (ხშირად უცოდინრობით!) და აღქმით. ყველას შეგვიძლია ვთქვათ, რომ გოჩა შორს იყო უსაგნო და უსაფუძვლო ქედმაღლობისა თუ თავის გამოჩენის სურვილისგან. იყო სამშობლოს ჯარისკაცი მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებით (!), მისი წარმოსახვა კი დამოუკიდებელი საქართველოს საოცნებო მომავალს ხედავდა. მზად იყო პატიოსანი თავდადებით ეცხოვრა აღთქმულ საქართველოში.

იგი ადრე წავიდა. ვინ იცის, იქნებ არც იყო მოულოდნელი მისთვის ეს წასვლა. გოჩა თათრიშვილი ინარჩუნებდა წინაპართაგან გამოცდილ თვისებებს. ხომ იბადებიან ადამიანები მაღალი ზნეობით, სიტყვის პატივისცემით, ღირსეულად ცხოვრების გენიალურად მარტივი წესით. ბუნებითმა დუმილმა, მშვიდმა, აუმღვრეველმა მზადყოფნამ თავდადებისა, სიკვდილამდე აამაღლა.

გოჩა ღრმად და მტკივნეულად განიცდიდა საქართველოს ბედს, უფრთხილდებოდა მოყვასს. ჩვენ კი, სულ გვქონდა განცდა, რომ ასეთი ვაჟკაცები საკუთარი მხრებით იცავდნენ სამშობლოს და სანამ ისინი იბრძოდნენ ვერავინ მოგვერეოდა.

მაშინ, დამოუკიდებელ საქართველოში პოლიტიკური ახალგაზრდობის დრო იდგა თავისი მაქსიმალიზმით, პატრიოტიზმით, მოუმზადებელი გულმხურვალე პოლიტიკოსებით, მომხდურის ვერაგობის ვერ დაჯერებითა თუ ვერ შეგრძნებით...რას ვიფიქრებდით, რომ წინ ჯერ კიდევ ბევრი ბრძოლა გვქონდა...

24 წლის შემდეგ

სოხუმის დამცველების დასაბრუნებელ

გასხნილი 28 სამარხიდან და მოძიებული 91 ნეშთიდან მოხერხდა 25-ის ამოცნობა და იდენტიფიცირება. ერთი მათგანია გოჩა გურამის ძე თათრიშვილი (27. 09. 1962 - 27. 09. 1993), (ქ. კასპი - ქ. სოხუმი, აფხაზეთი) - "ავღანელ" ვეტერანთა ბატალიონის წევრი...

1993 წლის 27 სექტემბერს ქ. სოხუმში გმირთა სიკვდილით აღესრულნენ მამაცთა შორის უმამაცესი ქართველები. მათთან ერთად დაეცა ქალაქის უკანასკნელი ბასტიონი - მინისტრთა საბჭოს შენობა...

გმირთა ბედი აქამდე ბურუსით იყო მოსილი, ისინი მიიჩნეოდნენ უგზოუკვლოდ დაკარგულებად...

ზედროული, მარადი, სამშობლოს ისტორიის წილხვედრი აღმოჩნდა გოჩა თათრიშვილის თავდადება.

მაშინ სიჭაბუკისთვის დამახასიათებელი მაქსიმალიზმითა და ავტორიტეტებთან შედავების სურვილით არად ვაგდებდით ბედის გამოცდას. სწორედ დამოუკიდებლობის ყოვლისმომცველმა იდეამ ჩვენთვის საოცნებომ და ესოდენ მიმზიდველმა დაატყვევა თავისუფლებას მოწყურებული ჩვენი გული და გონება. მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდით, არც შეიძლება გვცოდნოდა, რომ ყველაზე რთულად გასავლელია დრო დამოუკიდებელი სამშობლოს ფეხის ადგმისა.

ჩვენ დავმორჩილდით დამოუკიდებლობისათვის თავდადების მსოფლიო ინსტიქტს, გაუცნობიერებელი აკრძალულის უნაპირო საუფლოს. გვჯეროდა, რომ დრო უკან არ ბრუნდება და წინ ცხოვრებისა და მოქმედების მთელი სამყარო გადაიშალა.

სამშობლოსათვის თავდადება და ბრძოლა სასურველი მომავლის აუცილებელი პირობა იყო. ეს ახლა ვხვდებით ბრძოლის შუქ-ჩრდილებს, ვაფიქსირებთ ომისგან მიღებულ მწარე გამოცდილებას. ეს ახლა ვიცით, რომ ბრძოლის ველი ერთნაირად ამჟღავნებს ადამიანის სულიერ ძალას, მსხვერპლის გაღების, მეგობრების მხარდაჭერის უნარს...

სიმამაცე ხალხის თვისებაა და არ არსებობს არავითარი პოზა, ეს ბუნებრივი მოთხოვნილებაა და მოკლებულია გარეგნულ ელვარებას. სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის, მთლიანი საქართველოსთვის მებრძოლები უდიდეს წვლილს იღებენ ეროვნული სულისა და ენერგიის გასამჟღავნებლად.

მებრძოლები ეწირებიან ეროვნულ ღირსებას და ხდებიან თაობათა სიამაყე.

ნ. ხატიძე.

გოჩა თათრიშვილი:

"ჩემი ცხოვრება და შენი ცხოვრება სამშობლოს ეკუთვნის"

1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმში საბრძოლო ოპერაციების დროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შენობის დაცვისას გამოჩენილი მამაცობის, მხედრული ვალის მოხდისა და თავდადებისათვის ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა გოჩა თათრიშვილი (სიკვდილის შემდეგ). ეს მოხდა 2005 წლის ნოემბერში.

მრავალი ნათელი მოგონება, დადებითი ემოცია იბადება, როცა გოჩა თათრიშვილს იხსენებენ თანაქალაქელები ... მაგრამ მისი უგზოუკვლოდ დაკარგვის ამბავი სამი წერტილივით უთქმელს ტოვებდა ყველაფერს.

1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმში საბრძოლო ოპერაციების დროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შენობის დაცვისას გამოჩენილი მამაცობის, მხედრული ვალის მოხდისა და თავდადებისათვის ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით გოჩა თათრიშვილის დაჯილდოების ფაქტი ოჯახისა და

დასასრული გვ.

ვარსკვლავსანი „ქართლი“

ფოლკლორი, ქართული სასიმღერო ტრადიციები ქვემო ჭალაში გასული საუკუნის მეორე ნახევარშიც იყო შემორჩენილი. ადგილობრივთა ცნობით ამ სოფლის მკვიდრები ზაქარია და ვალოდია ზაქარიაშვილები, თადულა და შოთა ჭეხაშვილები, ცაცო გორჯოლაძე, ოსე ისერგიშვილი და სხვები 3-4 კაციან ჯგუფებად იკრიბებოდნენ და მღეროდნენ მშობლიური სოფლის ჭონაზე... 1975 წელს ქვემო ჭალის კულტურის სახლის დირექტორის ლერი შულლიაშვილის თაოსნობით შეიქმნა მამაკაცთა ანსამბლი, რომელსაც შემდეგ "ქართლი" დაერქვა. ჯგუფს დაარსების დღიდან ხელმძღვანელობდა ცნობილი მომღერალი და ლოტბარი, კასპის რაიონის იმჟამინდელი კულტურის განყოფილების გამგე, ღირსების ორდენის კავალერი ალექსანდრე მენაბდიშვილი, მისი გარდაცვალების /2004 წელი/ შემდეგ კი, "ქართლს" მისი ვაჟი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის კურსდამთავრებული, კასპის კულტურის ცენტრის დირექტორი ზაქარია /ზაზა/ მენაბდიშვილი უდგას სათავეში. სხვათა შორის, მენაბდიშვილების ეს შტო სიმღერით ყოფილა ცნობილი.

ზაზა მენაბდიშვილის ნაამბობის მიხედვით, 1889 წელს კასპში დიმიტრი და ანა ამილახვრების სასახლეში საშობაოდ ჩატარებულა ზეიმი. მასში მონაწილე მენაბდიშვილების გვარს, კერძოდ კი, ბატონ ალექსანდრეს წინაპრებს თავადის ოჯახის წევრები ლამაზი სიმღერით მოუხიბლავს. ძლიერი ხმა ჰქონია ალექსანდრეს პაპას, გიორგი მენაბდიშვილს, ლხინში სიმღერას რომ დაიწყებდა თურმე, მისი ხმა სოფლის ბოლოში ისმოდაო...

მენაბდიშვილებმა გადმოცემით ისიც იციან, რომ მათი სამოსახლო ადგილ-მამული ამილახვარმა გიორგი მენაბდიშვილს საუკეთესო სიმღერისათვის აჩუქა.

უკვე 70-ანი წლების ბოლოსთვის ანსამბლი "ქართლი" ახალი წევრებით შეივსო. მას შეემატნენ სერგო და რობერტ გახელაძეები, ლადო ბახუაშვილი, გოგი საჩალელი, ნიკოლოზ კლიმიაშვილი.

შემომატებულთა შორის ზოგიერთის წინაპრებიც მღეროდნენ. ამ მხრივ საყურადღებოა ანსამბლ "ქართლის" უხუცესი წევრის, 82 წლის რობერტ გახელაძის ნაამბობი, რომელიც ნათელ წარმოდგენას იძლევა არა მარტო მის წინაპრებზე, არამედ ქვემო ჭალის სამუსიკო ყოფასა და ტრადიციებზე. – პაპა-ჩემი სოლომონ გახელაძე და მისი ძმები, ივანე /სესიკა/ და მათე, – იხსენებს ბატონი რობერტი, – ქვემო ჭალაში განსაკუთრებით ჰყვარებიათ, რადგან ისინი უბადლოდ ასრულებდნენ ქართლ-კახურ სიმღერებს. მათი მაყრობის გარეშე არც ქალს გაათხოვებდნენ და არც რძალს მოიყვანდნენ.

რობერტ გახელაძის გადმოცემით ქვემოჭალელი სერგო გახელაძე ბრწყინვალედ ასრულებდა საფანდურო სიმღერებს, განსაკუთრებით გამოირჩეოდა "სებრო, სებრო", რომელიც ქვემო ჭალაში დღესაც სერგოს სახელთან ასოცირდება.

შეგიძლიათ, მოგვწერეთ თქვენი შვილების, შვილიშვილების ორიგინალური ფოტოები, ნახატები, ვიდეო. ისინი გამოქვეყნდება ჩვენს გაზეთში.

გოჩა თათრიშვილი:

"ჩემი ცხოვრება და შენი ცხოვრება სამშობლოს ეკუთვნის"

დასასრული.

ახლობლებისათვის მისი სიკვდილის დასტურიც იყო...

ასე ტკივილსიხარულის ზღვარზე მყოფმა დედამ და მეუღლემ ჩაიბარეს ჯილდო.

სხვათა შორის, ერთხელ გოჩამ პირად საუბარში თქვა: "ყველაფერი გამოცდაა – ქონაც და უქონლობაც." მატერიალურ კეთილდღეობაზე საუბრისას ასეთ ფრაზას იშვიათად გაიგონებთ. ომში მდგარ საქართველოში კი ასეთი ნათქვამის გააზრება უკვე ბევრს ნიშნავდა. ეს საუბარი მერე, გვიან გამახსენდა, როცა გავიგე, რომ აფხაზეთში თანამებრძოლები გოჩას "ღმერთის კაცს" ეძახდნენ.

ბუნებრივად იბადება კითხვა – რატომ "ღმერთის კაცი?" ღრმადმორწმუნეობის, მრავლისშემძლებლობის თუ გამორჩეული პატიოსნების გამო? ახსნა კი ასეთი მივიღე – ყველას გვერდით იდგა, ყველას გვეიმედებოდა, თვლიდა, რომ გადასახდენი უნდა გადაგხდეს. კაცს კი პატიოსნება და რწმენა შველის აქაც და "იქაცო"...

გოჩა ავღანეთის ბატალიონში იბრძოდა. ბატალიონი ყველაზე რთულ ადგილებში, სარისკო ოპერაციებში იღებდა მონაწილეობას. სხვათა შორის, სწორედ ისინი სამი დღე ანძას იცავდნენ...

27 სექტემბერს ჟიული შარტავას გვერდით იდგნენ... აქ წყდება ბიოგრაფია. მათ შესახებ არავინ არაფერი იცოდა, არაფერი ვიცოდით გოჩას შესახებაც...

ფაქტიურად დაცემულ სოხუმში დაბრუნდნენ...

როგორც გაირკვა, მათ ძალიან კარგად იცოდნენ, რომ დარჩენილი ხალხის გადასარჩენად წასულებს უკან დაბრუნების შანსი თითქმის არ ჰქონდათ.



იქნებ, ამ გაცნობიერებულმა მდგომარეობამ ათქმევინა წასვლის წინ, მისთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანისათვის – "ჩემი ცხოვრება და... შენი ცხოვრება სამშობლოს ეკუთვნის".

გოჩა თათრიშვილი უკვე იქცა ჩვენი ქალაქის, რაიონის ისტორიის დაუვიწყარ ნაწილად, ის გამორჩეულად გვეამაყება მისი თაობის წარმომადგენლებს. და რამდენად უცნაურადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, "ომის თაობის" სიამაყე ძალიან მნიშვნელოვანი და საჭიროა დღეს, როცა არსებობს საშიშროება, რომ საშოვარს გადაგებულ რეალობაში სამშობლოს სიყვარული მხოლოდ პათეტიკის ბინადარი გახდეს. სამაჩაბლოსა და აფხაზეთის მოუშუშებელი ჭრილობა კვლავ მოითხოვს ჩვენი შესაძლებლობის მაქსიმუმს, ან იქნებ იმაზე მეტსაც.

ყველა ძნელბედობა ღირსეულმა მამულიშვილებმა გადაატანინეს საქართველოს, სამშობლოს სიყვარული კი ყველაზე სასურველი ბედისწერაა ქართველისათვის.

ნანა მერებაშვილი.

კეთილმოწყობილი საბავშვო ბაღები პატარა აღსაზრდელებს

ქალაქ კასპში, ორი ახლად რეაბილიტირებული საბავშვო ბაღი გაიხსნა. №4 და №5 საბავშვო ბაღებმა აღსაზრდელები კეთილმოწყობილ შენობაში მიიღო, სადაც მათ ლამაზი ოთახები და მყუდრო გარემო დახვდათ. კასპის მუნიციპალიტეტში მიმდინარე წელს სულ 10 საბავშვო ბაღი რეაბილიტირდა, რომელიც რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსდა და 1 203 024 ლარი დაიხარჯა. ქალაქის გარდა რეაბილიტაცია ჩაუტარდა სოფლების: ეზატის, კავთისხევის, ახალქალაქის, ახალციხის, თელიანის, ხოვლის, სასირეთის და ქვემო გომის საბავშვო ბაღებს. 2014 -2017 წლებში კასპის მუნიციპალიტეტში სრული და ნაწილობრივი რეაბილიტაცია სულ 21 საბავშვო ბაღს ჩაუტარდა.

საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი და მნიშვნელოვანი პრიორიტეტი სკოლამდელი დაწესებულებების კეთილმოწყობაა.

მუნიციპალიტეტში საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია გაგრძელდება, ვიდრე, ყველა ბაღში პატარებს სათანადო პირობები არ ექნებათ.

განათლებული, ფიზიკურად ძლიერი და ჯანსაღი თაობა

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ძლიერი საზოგადოების შექმნა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ განათლებული, ფიზიკურად ძლიერი, სულიერად ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდით... ამდენად, ყველასათვის ნათელია, თუ რაოდენ დიდი და მნიშვნელოვანი როლი აკისრია სკოლამდელი განათლების დაწესებულებების სააღმზრდელო და საგანმანათლებლო, მეთოდოლოგიური სწავლების პროცესების სრულყოფას, დახვეწასა და განვითარებას, ხელშეწყობას.

— მთავრობის ბოლოდროინდელი დირექტივა, რომელიც მიზნად ისახავს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ფართომასშტაბიან ინფრასტრუქტურული, სამშენებლო, სარემონტო და აღდგენითი სამუშაოების ჩატარებას, წარმატებით და თანმიმდევრულად ხორციელდება, — საუბრობს კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი მანანა ხვთისიაშვილი, — სწორედ ადგილობრივი ხელისუფლების დაფინანსებითა და დახმარებით, უდიდესი ძალისხმევით თანამედროვე სტანდარტებით, უმაღლეს დონეზე მოწყობილ, კომფორტულ და გალამაზებულ საბავშვო ბაგა-ბაღებში უხდებათ ყოფნა ჩვენს პატარებს, როგორც ქალაქად, ასევე სოფლებში.

მოკლედ ბოლო სამ-ოთხ წელიწადში ბევრი რამ შეიცვალა, რა თქმა უნდა, სასიკეთოდ, მაგრამ გასაკეთებელი კიდევ ბევრი დარჩა, რომლის მოგვარება ინტენსიურად მიმდინარეობს. მუნიციპალიტეტში დღეის მდგომარეობით სულ ფუნქციონირებს 26 საბავშვო ბაღი, აქედან 5 კასპშია, მარტო შარშან ქალაქში სამ საბავშვო ბაღს ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია... ამ ზაფხულს დაიწყო კასპის №4 საბავშვო ბაღის ფართომასშტაბიანი ინფრასტრუქტურული სამუშაოები. ბაღი /გამგე დალი კოტეტიშვილი/ გათვლილია 6 ჯგუფზე, 180 - 200 აღსაზრდელით, რამდენიმეთვიანი სამშენებლო სამუშაოების შემდეგ ბაღს მთლიანად გამოეცვალა სახურავი, დამონტაჟდა ცენტრალური გათბობა, აგრეთვე, მოპირკეთდა ეზოგარემო... ანალოგიური სამშენებლო სამუშაოები ჩატარდა კასპის №5 საბავშვო ბაღში /ბაღის გამგე ლალი მილაძე/, რომელიც გათვლილია 6 ჯგუფზე 160 აღსაზრდელით. აღდგენითი და სარემონტო, სამშენებლო სამუშაოები ჩაუტარდა კავთისხევის /გამგე ნელი გზირიშვილი/, ეზატის /გამგე ნანა აბულაძე/, ქვემო გომის /გამგე ელიზა ბიძინაშვილი/, თელიანის /გამგე ეკა ხორგუაშვილი/, სასირეთის /გამგე ქეთინო ჭაღიაშვილი/ ბაღებს. თუმცა, ისევ სერიოზული პრობლემები აქვს დღეის საბავშვო ბაღს, ამიტომ რაიონის ხელმძღვანელობამ საგულდაგულოდ განიხილა ამჟამად ბაღში შექმნილი ვითარება და გაერთიანებას დაევალა უსწრაფესად უნდა შეიმუშაოს ახალი პროექტი, რომელიც უზრუნველყოფს აუცილებელ და გადაუდებელ სამშენებლო, სარემონტო სამუშაოების შესრულებას.

ხოლო, რაც შეეხება საბავშვო დაწესებულებებში დასაქმებულ კადრებს, ამ მხრივ ნამდვილად დადებითი პოზიცია შეიმჩნევა, უფრო მეტიც, ყველა ბაღს ჰყავს პროფესიონალი ექთანი, ფსიქოლოგი, მეთოდისტი, მუსიკის მასწავლებელი, აღმზრდელ-მასწავლებელი, ლოგოპედი... საინტერესო ნოვაციებითა და აქტიურობით გამოირჩევიან თელიანის საბავშვო ბაღის მეთოდისტი მაია ნაგელიშვილი, სასირეთის ბაღის ფსიქოლოგი თამარ ბერიაშვილი და მეთოდისტი თამარ ჯავახიშვილი და სხვები, რომლებიც ყოველდღიურად გრძნობენ გაერთიანების აპარატის სპეციალისტთა მხარდაჭერასა და თანადგომას.

ასე, რომ ბაღების თანამშრომლები გაერთიანების მუშაკებისაგან, რომელთა შორის არიან ნია ჯუხარიძე, მაია მაზმიშვილი, ხათუნა ტყემალაძე, მაია ბარნოვი, ია ლეონიძე სისტემატურად იღებენ მეთოდურ დახმარებას.

კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება.

ტარიელ შარიფაშვილის გარდაცვალების დღეს



ეროვნული გვარდიის კასპის ბატალიონის პირველი მეთაურის, პოლკოვნიკ ტარიელ შარიფაშვილის გარდაცვალების დღესთან დაკავშირებით კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის ხელმძღვანელები, სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის თანამშრომლები და ეროვნული გვარდიის კასპის ბატალიონის ყოფილი მებრძოლები მის მშობლიურ სოფელ ზემოხანდაკში იმყოფებოდნენ. მათ, გმირის ქალიშვილთან თამარ შარიფაშვილთან ერთად გვირგვინით ჯერ გმირის ბიუსტი, შემდეგ კი საფლავი შეამკეს.

ტარიელ შარიფაშვილი, ეროვნული გვარდიის კასპის ბატალიონის პირველი მეთაური, შემდგომ საპატიო მეთაური და კასპის რაიონის გამგებელი 33 წლის ასაკში - 1993 წლის 25 სექტემბერს, სოხუმის დაცვისათვის გმირულად დაიღუპა აფხაზეთში. გარდაცვალების შემდეგ იგი ვახტანგ გორგასლის სახელობის I ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. ტარიელ შარიფაშვილის სახელი ეწოდა მებრძოლის მშობლიური სოფლის ზემო ხანდაკის საჯარო სკოლას, რომლის ეზოშიც დგას მისი ბიუსტი. კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობა პატივს მიაგებს მის მარადიულ ხსოვნას, კიდევ ერთხელ თანაუგრძნობს მის ოჯახს - მეუღლესა და ქალიშვილს.

17 ოქტომბერი საქართველოს ვეტერანთა დღეა

საქართველოს ვეტერანთა დღესთან დაკავშირებით, კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა და საზოგადოების წარმომადგენლებმა პატივი მიაგეს და გვირგვინით შეამკეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა მემორიალი. ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ინიციატივით ეს დღე 2015 წელს დაარსდა, როდესაც საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

FLEX-ი არის ერთწლიანი გაცვლითი პროგრამა, რომელიც დაფინანსებულია აშშ-ის დეპარტამენტის კულტურისა და განათლების ბიუროს მიერ. ამ პროგრამის ფარგლებში ქართველ მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ ერთი წლის განმავლობაში იცხოვრონ და ისწავლონ ამერიკაში.

ჩემი ამბავი კი მაშინ დაიწყო, როდესაც პროგრამის ერთ-ერთმა კურსდამთავრებულმა ნინო ლობჟანიძემ ჩემი საკლასო ოთახის კარი შემოაღო და ამ პროგრამის არსებობაზე გვიამბო. მაშინ ჯერ კიდევ მე-9 კლასში ვიყავი და დაუყოვნებლივ გადავწყვიტე მონაწილეობის მიღება. დავიწყე საგანგებო მზადება შესარჩევი ტურისთვის. ეს დღეც დადგა, მაგრამ შედეგმა იმედგაცრუებული დამტოვა, პირველი ტური ვერ გადავლახე, ამის გამო კი გადავწყვიტე მომდევნო წელს მონაწილეობა აღარ მიმეღო, მეტიც ამ პროგრამის არსებობაც კი დავივიწყე. ასე გამოვტოვე შესარჩევი ეტაპი მე-10 კლასში, მაგრამ მოვიდა ახალი სასწავლო წელი, უკვე მე-11 კლასის მოსწავლე ვიყავი, ამ წელთან ერთად კი ახალმა შესაძლებლობებმაც გამიღეს კარი.

სკოლაში კიდევ ერთხელ მოვიდა ინფორმაცია შესარჩევ ეტაპთან დაკავშირებით და სწორედ მაშინ გადავწყვიტე კიდევ ერთხელ წავსულიყავი გორის საგამოცდო ცენტრში. ასე აღმოვჩნდი ტესტირების ოთახში, რამდენიმე ასეულ მოსწავლესთან ერთად.

თხუთმეტწუთიანი ტესტის დაწერის შემდეგ დარწმუნებული ვიყავი, რომ პირველ ტურს ისევ ვერ გადავლახავდი, ამიტომ საკუთარი თავისთვის იმედი არ მიმიცია.

როგორც წესი პირველი ტურის პასუხებს მონაწილეები ამ პროგრამის ვებგვერდიდან ტესტირების საღამოსვე იგებენ. მე კი ერთი წამითაც არ მიფიქრია შედეგის ნახვა. ალბათ საღამოს ექვსი საათი იყო, როდესაც ერთ-ერთმა მონაწილემ ჩემი მეორე ტურში გადასვლის შესახებ მითხრა. ამის შემდეგ მომეცა საკუთარი თავის რწმენა და ფინალისტობის იმედი.

21 მარტს დამირეკეს ამერიკული საბჭოებიდან და მითხრეს, რომ პროგრამის ფინალისტი გავხდი. შემდეგ დაიწყო აქტიური მზადება აშშ-ში გასამგზავრებლად, მაგრამ ამერიკაში წასვლამდე ჯერ კიდევ მელოდა დაუვიწყარი თავგადასავალი მოლდოვის ინგლისური ენის ბანაკში.

ერთგვარად თვალგლიებში ჯერთვერ მოსწავლეებს შეცვლილებლობა ვჯვთ ერთი წლის განმავლობაში იცხოვრონ და ისწავლონ ამერიკაში

კასპის მეორე საჯარო სკოლის კურსდამთავრებული თამარ დალაქიშვილი 2016-2017 წლების მიჯნაზე FLEX-ის ერთწლიანი გაცვლითი პროგრამით სწავლობდა ამერიკაში. 2017 წლის მაისში დაბრუნდა სამშობლოში და ემზადება სწავლის გასაგრძელებლად.

რას გვთავაზობს აღნიშნული პროგრამა, რამდენად საინტერესო და ხელმისაწვდომია იგი მოსწავლეებისათვის, რა სიახლეები და დადებითი ცვლილებები ელოდებათ მოსწავლეებს? გვესაუბრება თამარ დალაქიშვილი.

7 ივლისს მოლდოვაში რამდენიმე ქართველ მოსწავლესთან ერთად გავემგზავრე, სადაც ერთი თვე გავატარე, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ გაცვლითი პროგრამის სტუდენტებთან ერთად. ბანაკში დიდი გამოცდილება მივიღე, რაც მთავარია, შევიძინე მეგობრები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. ერთი თვე ძალიან მალე გავიდა.

17 აგვისტოს კიშინოვის აეროპორტიდან ჯერ გერმანიაში ჩავედით, შემდეგ კი იმ ქვეყნისკენ გავფრინდით თავისუფლების მიწას რომ ეძახიან.

პირველად ვაშინგტონში ჩავფრინდით. იქ სხვა გაცვლით სტუდენტებს შევხვდით და ერთი ღამეც გავატარეთ. გამთენიისას ყველა მასპინძელი ოჯახისკენ სხვადასხვა შტატში გავემგზავრეთ.

მე კანზასამდე, წინ ილინოისის შტატი მელოდა და რამდენიმე მოსწავლესთან ერთად ჩიკაგოს აეროპორტში ჩავფრინდი. დაახლოებით ოცდაათ წუთში ჩემ გარდა ყველა დანიშნულების ადგილისაკენ გაემგზავრა, მაგრამ მე მომდევნო თხუთმეტი საათი ჩიკაგოს აეროპორტში უძილობასა და სხვადასხვა გასასვლელებთან ლოდინში გავატარე. რადგან უამინდობის გამო ფრენა თხუთმეტი საათით გადაიდო.

საბოლოოდ ათი საათისთვის უკვე კანზასის შტატისკენ მივფრინავდი, სადაც ჩემი მასპინძელი ოჯახი მელოდა. ორ საათში უკვე დანიშნულების ადგილზე ვიყავი, დაღლილობისა და ემოციური სტრესის მიუხედავად მათთან შეხვედრა ძალიან სასიამოვნო იყო.

საბედნიეროდ მასპინძელმა ოჯახმა ისე მიმიღო როგორც საკუთარი შვილი. მათზე არანაკლებ თბილები და მოსიყვარულენი აღმოჩნდნენ სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები.

ამერიკულ სკოლაში სწავლისას აღმოვაჩინე, რომ შესაძლებელია მოსწავლეს სკოლაში გატარებული ყოველი წამი უყვარდეს, რადგან ამერიკელი საზოგადოება ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ მოსწავლეებმა შეიყვარონ სკოლა და მოახდინონ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაცია. შექმნილმა გარემომ მიბიძგა მონაწილეობა მიმეღო აქტივობებში: ვსწავლობდი სხვადასხვა საგნებს, ვმღეროდი სკოლის გუნდში, ვთამაშობდი ჩოგბურთსა და ბეისბოლს.

ამერიკაში გატარებულმა წელმა, მასპინძელმა ოჯახმა, სკოლამ და საზოგადოებამ დამანახა, რომ თითოეულ ადამიანში იმალება ნიჭი, რომელსაც მზის სინათლეზე გამოტანა ესაჭიროება. ამ წლის დახმარებით ვისწავლე ინგლისური ენა, შევიცანი საკუთარი თავი, აღმოვაჩინე ჩემი შესაძლებლობები და გავხდი თავდაჯერებული. ფლექსის გაცვლითმა წელმა მაჩუქა უამრავი მეგობარი საქართველოსა თუ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან, მასწავლა დამოუკიდებლად ცხოვრება და, რა თქმა უნდა, სამშობლოს სიყვარულიც სხვა თვალით დამანახა.

ვფიქრობ, რომ ამ პროგრამაში მონაწილეობას კიდევ ერთხელ დაუფიქრებლად მივიღებდი, რადგან ახალი გაცვლითი წელი ჩემთვის გამოწვევებისა და აღმოჩენების წელი იქნება.

საქველმოქმედო აქცია

მეთორმეტეულასელი გოგონას დასახმარებლად

29 სექტემბერს ქალაქის კულტურის ცენტრში ჩატარდა საქველმოქმედო კონცერტი, რომლის მხარდამჭერი გახლდათ კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობა და ქორეოგრაფიული ანსამბლი "ქართლი"... როგორც ღონისძიების ორგანიზატორებმა განაცხადეს ეს საქველმოქმედო კონცერტი ერთობლივად დაიგეგმა და მასში აქტიურად მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის /უფროსი თეა ხორბალაძე/ წარმომადგენლები, უფრო სწორად ყველამ გულთან ახლოს მიიტანა კასპელი გოგონას, მეთორმეტეკლასელი მეგი ბერიაშვილის გასაჭირი, რომელსაც ექიმებმა ამ რამდენიმე ხნის წინ მძიმე დიაგნოზი დაუსვეს, სათანადო მკურნალობის ჩასატარებლად კი, მის ოჯახს არანაირი სახსრები არ გააჩნია.

— მართლაც რომ სასოწარკვეთილებაში აღმოჩნდა მეგი ბერიაშვილის ოჯახი, კარგად ვიცნობთ გოგონას გარშემო შექმნილ ვითარებას, — აცხადებს ქორეოგრაფიულ ანსამბლ "ქართლის" სამხატვრო ხელმძღვანელი ხათუნა გაგაძე, — საქმე ის გახლავთ, რომ მეგის უფროსი და, ქეთი ბერიაშვილი ჩვენი ანსამბლის მოცეკვავეა და გულხელდაკრეფილი ვერ დავრჩებოდით, ამიტომ გადავწყვიტეთ გაგვემართა საქველმოქმედო აქცია, რომელშიც აქტიურად ჩაერთვნენ ჩვენი ქალაქის ცნობილი მუსიკოს-შემსრულებლებიც.

ეს ერთსაათიანი, საქველმოქმედო კონცერტი ბუნებრივია, არაორდინალური, ცოტა სევდიანიც იყო (სცენაზე იდგა შემოწირულობისათვის განკუთვნილი ყუთი და ვისაც სურვილი ჰქონდა შეეძლო თანხის გაღება), მაგრამ მან "პირნათლად" შეასრულა თავისი ფუნქცია და კონცერტიდან აღებული თანხა /1. 668 ლარი / მთლიანად გადაეცა გოგონას ოჯახს.

საქველმოქმედო კონცერტის მთავარ მონაწილეებს, ანსამბლ "ქართლის" მოცეკვავეებს /შესრულდა "ჩეჩნური", "აჭარული", "ცდო", სულ 8 ცეკვა/ პარტნიორობას უწევდნენ კულტურის ცენტრთან არსებული საესტრადო სიმღერების სტუდიის პატარა მომღერლები და შემსრულებლები აჩიკო მიგრიაული და გიორგი ჯავახიშვილი... მაყურებელთა წინაშე გამოვიდნენ და ცნობილი საესტრადო ჰიტები შეასრულეს კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის გაერთიანების დირექტორმა მიხეილ ქოსაშვილმა და კასპის კულტურის ცენტრის დირექტორმა ზაზა მენაბდიშვილმა, რომელმაც ღონისძიების წარმართვაც შესანიშნავად მოირგო. მაყურებელმა აპლოდისმენტები მიუძღვნა ხათუნა გაგაძეს, რომელმაც შეასრულა ცეკვა "ჯეირანი".

კონცერტის დასრულების შემდეგ მეგი ბერიაშვილის ოჯახმა მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტსა და ღონისძიების ორგანიზატორებს თანადგომისა და გაწეული დახმარებისათვის.

სპორტი

კასპელ მოჭიდავეთა საშემოდგომო ნადავლი

მიმდინარე წლის 30-31 სექტემბერს ქალაქ თბილისში ჩატარდა ევროპის მრავალგზის ჩემპიონის და ათენის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალოსნის ნესტორ ხერგიანის სახელობის ტურნირი ძიუდოში 2003-2004 წლებში დაბადებულ მოჭიდავეთა შორის... ტურნირზე წარმატებით იასპარეზა და ვერცხლის მედალი მოიპოვა კასპის მუნიციპალიტეტის სპორტკომპლექსის აღსაზრდელმა ბექა მარქარაშვილმა.

მიმდინარე წლის 7-8 ოქტომბერს ქარელი მასპინძლობდა რეგიონში 2001-2002 წლებში დაბადებულ ახალგაზრდა მოჭიდავეებს. აღნიშნულ ასპარეზობაზე ორი მეორე ადგილი და შესაბამისად ვერცხლის მედლები დაიმსახურეს გიორგი სოზიაშვილმა და დუტა ჯოჯუამ, მესამე ადგილები და ბრინჯაოს მედლის მფლობელები გახდნენ ბუკა მიშველაძე, ნოდარ ჯარმელაშვილი, დიმიტრი კუნდუხაშვილი და ირაკლი დემეტრაშვილი.

14-15 ოქტომბერს ქალაქ თბილისში ზაზა მახათაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირზე კადეტთა შორის ძიუდოში ასპარეზობდნენ 2004-2006 წლებში დაბადებული სპორტსმენები... წარმატებით იასპარეზეს კასპის სპორტსკოლის ნორჩმა მოჭიდავეებმა. ბექა მარქარაშვილმა მეორე ადგილი გაინაღდა, ხოლო ნიკა შეშაბერიძე, სანდრო ახლოური და გუგა ჩერქეზიშვილი მესამე ადგილს დასჯერდნენ.

,,ახალი გვნთავლი,, იძიებს ახინდერჩიდა ბუჩავიებს ჩავიონიდ ბაგაზეთი ფოტო-მატიანიდ შეიბეჭდილოდ.

თხოვნით მივმართავთ თანამოაზრეებს - დატოვეთ თქვენი ყველი ბავშვ მატიანეში!

გამოგვიგზავნეთ ახინდერჩიდა და ბავალიდა ფოტოები!

იმედი მიცი შეგვიძლია ბავშ, რომ გვგონია

ათასგვარ საფიქრალსა თუ დარდს შეხიზნულ ცხოვრებაში ნაკლებად გრჩება დრო მოუსმინო საყვარელ მუსიკას, ლექსს... ეს რომ ცხოვრების მკაცრი რეალობაა, კარგა ხანია დაგვიმტკიცა საშოვარს გადაგებულმა სინამდვილემ, მაგრამ ... ისევ ეს დალოცვილი მაგრამ, რომ გვაფხიზლებს და დღენიადაგ გვარწმუნებს - ცხოვრება გაცილებით საინტერესოა ვიდრე ჩვენ გვეგონა ან ვიცით.

მოდით, დავფიქრდეთ და გავიხსენოთ, ბოლოს როდის აგეკვიატათ საყვარელი ფრაზა სიმღერიდან ან ლექსიდან სამშობლოზე, როდის გახედეთ მთებს და სახელდაურქმეველი სინაზით აგევსოთ გული სამშობლოს მიდამოს დანახვაზე...

დღეს ნურაფერს გავიხსენებთ საზღვარგარეთ გამგზავრების სურვილსა თუ მცდელობაზე, მით უმეტეს, რომ სამშობლოს სიყვარული სულაც არ გამოირიცხება საზღვარგარეთ გამგზავრების სურვილისას...

და მაინც, არსებობს სიმართლე პოეტს რომ ვერ შეედავები

"შენა ხარ ჩემი
ჯილდოც, სასჯელიც,
გულზე ახლოს
ხარ და ღმერთზე
ზემოთ.
ჩემო ტანჯულო,
ჩემო მტანჯველო,
დაულეველო
სამშობლოვ ჩემო."

***

"შენთან ვარ,
მაგრამ, მაინც დაგეძებ,
როგორც დაეძებს საჭმელს მშიერი,
და ამ პატარა მიწის
ნაგლეჯზე,
შემაძრწუნებლად
ვარ ბედნიერი..."

/ოთარ ჭილაძე/

ამ ფიქრთა იალ-კიალი ლამისყანის ჯამბაკურ-ორბელიანთა სასახლე-მუზეუმში სტუმრობისას აგვეკვიატა. საღამო სახელწოდებით "ჟღერს ქვის ჰარმონია" ზაფხულის ერთ ცხელ საღამოს შედგა.

სასახლე-მუზეუმში ერთ-ერთი სტუმრობისას მუზეუმის მეგობარს მეტეხიდან გამოთხოვილ ლამისყანელების რძალს ვერიკო ზარიძეს საუბარში უთქვამს: "ჩემი აუხდენელი ოცნებაა ლიტერატურული საღამო — "ჟღერს ქვის ჰარმონია." მუზეუმის თანამშრომლებს იდეა მაშინვე მოეწონათ და 2017 წლის სამუშაო გეგმაში შეიტანეს. დაიწყო ერთობლივი მუშაობა: ავტორების, ლექსების და საგალობლების შერჩევა.

ისიც შევიტყეთ, რომ ლომის წილი ღონისძიების მომზადებაში მიუძღვის ახალგაზრდა ექსკურსიამძღოლს თეონა ბეინაშვილს. მასთან ერთად მუზეუმის თანამშრომლებს მაია (ნონა) ბეინაშვილს და ფიქრია ხოკრიშვილს დიდი შრომა გაუღიათ სამშობლოზე საგალობლებისა თუ ლექსების მოძიებაში.

ვერიკო ზარიძე გაეცნო მუზეუმის მოხალისე მოსწავლეებს: თიკო ჭიხინაშვილს, ანა ჯამრიშვილს, დავით ბეინაშვილს, ნინო ჯამრიშვილს, დემეტრე რაზმაძეს, მარიამ ბეინაშვილს, ქეთევან გიგაურს, მარიამ ონიაშვილს, ავთანდილ ბეინაშვილს, დალი ცუცუნაშვილს, გაგა ოსიშვილს, ნიკოლოზ ილურიძეს.

მოსწავლეებმა უფროსების დახმარებითა და ხელმძღვანელობით მოამზადეს და წაიკითხეს იოსებ ნონეშვილის, შოთა ნიშნიანიძის, გალაქტიონ ტაბიძის, ირაკლი აბაშიძის, მურმან ლებანიძის, ჯანსუღ ჩარკვიანის, გრიგოლ აბაშიძის, ხუტა ბერულავას, სიმონ ჩიქოვანის, მიხეილ ქვლივიძის, ოთარ ჭილაძის, რეზო ამაშუკელის, საფო მგელაძის, გიორგი შალამბერიძის, მანანა ჩიტიშვილის, დავით გაბუნიას, ზურაბ ყოლბაიას, ფარნაოზ რაინაულის, მზაღო ოსიშვილის, ნიკო სამადაშვილის, დავით კვიცარიძის, ლია ბედოშვილის, მერაბ სიდამონიძის, გივი გოგნაძის, კოტე კაკიტაძის, ნიკა ფუტკარაძის, თამარ რაზმაძის ლექსები.

ძნელია იმ წარმოდგენას მონტაჟი დაარქვა, არადა ორბელიანთა სასახლე-მუზეუმის აივანზე სტატიკური წარმოდგენა გაცილებით დამაფიქრებელი და მრავლის მომცველი იყო ვიდრე "სამეფო სცენათა" მრავალი უსაგნო წარმოდგენა.

ღია ცის ქვეშ მოკალათებულ მაყურებელს ძნელად დაავიწყდება სამშობლოს სიყვარულში ჩაძირული სასახლე, სადაც საუკუნის წინაც იკრიბებოდნენ ჩინებული ქართველები, თავად ამბობდნენ სამშობლოს სადიდებელს და იმედით აკვირდებოდნენ მომავლის მოსვლას დამოუკიდებელ საქართველოში. ეს მაშინ აუხდენელი ოცნება იყო.

ასეთი საღამოები კიდევ ერთხელ ამტკიცებენ, რომ სამშობლოს სიყვარული საუკუნეებს აერთიანებს, აძლიერებს და მძლეთამძლე დროსაც იმორჩილებს.

ვისაც მუზეუმი მოსაწყენი დამტვერილი ნივთების საცავი ჰგონია - შევახსენებთ, - მუზეუმი წარსულის, დღევანდელობისა და დაუჯერებელი მომავლის ცენტრია, სადაც ყოველ ცისმარე გვიმტკიცებენ, რომ იმაზე მეტი შეგვიძლია ჩვენ, რომ გვგონია.

ნ. მერებაშვილი.

გილოცავთ!



ჩვენი ქალაქის უსაყვარლეს ქალბატონს, მზია ჩხეიძეს ვულოცავთ დაბადების დღეს!

ქალბატონო მზია, თქვენი გამოჩენა წლების განმავლობაში სითბოთი და იმედით ავსებდა ოჯახებს, ამაგდარ ექიმს გაზრდილი გყავთ მრავალი თაობა. თქვენი გვჯეროდა, გვეიმედებოდით და დღემდე უდიდეს მოკრძალებასა და სიყვარულს ვატარებთ გულში.

თქვენი სიმშვიდით, პატიოსნებით, საუკეთესო ოჯახით, გამორჩეულად კარგი შვილებით გვილამაზებთ ცხოვრებას. ამიტომ გისურვებთ დღეგრძელობას, ჯანმრთელობას, ულევ სიკეთეს მონაგართან ერთად.

ნანა მერებაშვილი.

ჩვენს უერთგულეს კოლეგასა და მოსიყვარულე, მზრუნველ ადამიანს, გაზეთ "განთიადის" ყოფილ რედაქტორის მოადგილეს, ქალბატონ ნორა ედიშერაშვილს სულითა და გულით ვულოცავთ დაბადების დღეს...

ვუსურვებთ შემოქმედებით წარმატებებს, მხნეობასა და ჯანმრთელ სიცოცხლეს საყვარელ ოჯახთან, ახლობლებთან და მეგობრებთან ერთად.

გაზეთ "ახალი განთიადის" რედაქცია.

პაპარაცი "მაკნატუნა" კასპობაზე

ხსოვნა

ნინო წერეთელი

ჩვენო განუმეორებელო, გამორჩეულო ნინიკო, ერთი წელი შესრულდება 9 ნოემბერს, რაც ჩვენგან წახვედი და დაგვიტოვე მოუშუშებელი ჭრილობა, გაუსაძლისი ტკივილი, დაამწუხრე შენი დიდი ოჯახი, შენთვის საყვარელი ადამიანები, ახლობლები და ნაცნობები...

ჩვენო მონატრებულო ნინო, წელიწადმა ისე განვლო, რომ ჯერაც ვერ შევეგუეთ უშენობას, ვერ ვიჯერებთ, რომ ველარასოდეს ვნახავთ, არადა, როგორ გვიხაროდა, როგორ ველოდებოდით შენთან შეხვედრას.

ჩვენზე უფროსი იყავი, მაგრამ თავს თანატოლად გვაგრძნობინებდი, ყოველთვის გიხსენებთ, თუ როგორ გვეფერებოდი და გვანებივრებდი, გვასწავლიდი.

ჩვენო ნინო, ველოდებით 5 ნოემბერს, ეს ხომ შენი დაბადების დღეა, რომელსაც უშენოდ აღვნიშნავთ, მოვალთ შენს საფლავთან ჩვენს ბიძაშვილებთან ერთად და მოგიტანთ შენს საყვარელ ყვავილებს, დაგინთებთ სანთელს... მერე, ისევ დავიწყებთ შენზე ფიქრს, ახლა მხოლოდ წარსულის გახსენებითღა ვინუგეშებთ თავს...

არ გვავიწყდები, დღე არ გაივლის ისე, რომ ჩვენი დამწუხრებული ბებო თამარი შენზე არ გველაპარაკოს და არ გაგიხსენოს, ძალიან გვენატრები, ყველას გვაკლიხარ.

ბიძაშვილები: თორნიკე და საბა.

წელიწადის მეხუთე დრო

რუბრიკა –წელიწადის მეხუთე დრო ელოდება თქვენს ეამობმაუტებას. მოგმიძანდით რედაქციაში, ეაეგაცანით თქვენი ნამუშევრები (ნამოადგინეთ ელექტრონული ვერსია) და ეაცანით ინი ნახოვადოებას.

"ფრთიანი ფრაზები"

ბავშვობაში ნათქვამი "ფრთიანი ფრაზები" დამსახურებულად იკავებენ ადგილს ოჯახურ "ოქროს ფონდში," თაობიდან თაობას გადაეცემიან და ყველა შინაურული თავყრილობის მთავარი სახალისო საამბობნი არიან. შეინახეთ თქვენი ბავშვობის საინტერესო წუთები ჩვენს რუბრიკაში "მაკნატუნა" და გახდით რუბრიკის სტუმარი.

მკითხველს შეუძლია მოგვაწოდოს საავტორო შემეწეობით-გასართობი მასალები. დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია მოგვმართოს მისამართზე – კასპი, საკაძის ქ. 68. ან დარეკოს ტელეფონზე: 03712 22576.

გამოგვეხმაურეთ!

ადამიანი სიცოცხლის განმავლობაში მრავალი უცნაური, მოულოდნელი თუ აუხსნელი მოვლენის მოწმე ხდება. უმეცეს შემთხვევაში არ ვიცით, ვის გავუზიარეთ ნახახი, ალბათ იმის შიშით, რომ შეიძლება არასწორად გაგვიგონ.

უცნაური, მოულოდნელი, აუხსნელი

თუ ყოფილხართ მომსწრე აუხსნელი, უცნაური, შეუცნობელი მოვლენისა შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ამ ფაქტის ამსახველი ვიდეო, ფოტო მასალა და გაგვიმხილოთ საკუთარი ემოცია, შთაბეჭდილება.

მასალის გაცნობისა და შესწავლის შემდეგ, თუ იგი საინტერესო იქნება ფართო აუდიტორიისათვის, მკითხველისათვის, გამოქვეყნდება გაზეთში რუბრიკით ,,შეუცნობელი."

ყველა აუხსნელი მოვლენის უკან შეიძლება იმალებოდეს პასუხი ჩვენთვის საინტერესო კითხვებზე, ველოდებით თქვენს გამოხმაურებას.

გაზეთ ,,ახალი განთიადის,, რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი

გოჩა მამულაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

კოლია ლაფერაშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

გოჩა მამულაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის კასპის რაიონული საბჭო (თავმჯდომარე გიული სოზიაშვილი) სამძიმარს უცხადებს კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კავთისხევის საჯარო სკოლის დირექტორს ნელი ჯანანაშვილს მეუღლის

თემურ შალუტაშვილის გარდაცვალების გამო.

კავთისხევის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი სამძიმარს უცხადებს სკოლის დირექტორს ნელი ჯანანაშვილს მეუღლის

თემურ შალუტაშვილის გარდაცვალების გამო.

რუსუდან მიგრიაული ოჯახით თანაგრძნობას უცხადებს ნელი ჯანანაშვილს მეუღლის

თემურ შალუტაშვილის გარდაცვალების გამო.

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება შ.პ.ს. კოლორ პრესში

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.

სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოგანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ. კასპი საკაკაძის ქ. № 68

ტელეფონი 22-25-76